5 – 6 ოქტომბერი

საერთაშორისო
კონფერენცია

BATUMI

სიმახთღის გამოვლენა დიდი ტეხოჩის მასობრივი სამახხები (1937-1938) საქართველოში / ქ. ბათუმში

2023

Mieroszewski Centre

IDFI Institute for Development of Freedom of Information

კონტაქტი
ანტონ ვაჭარაძე +99 557 734 0595
დაგმარა კლოსინსკა +48 602 780 647

MIEROSZEWSKI.PL
KONTAKT@MIEROSZEWSKI.PL
IG/FB/TT/YT @MIROSZEWSKIPL

IDFI.GE
INFO@IDFI.GE
IN/FB/IG/YT @IDFI

მეგობრებს გვიჭერდნენ, ჩვენ კი ვიღიმებოდით... გარშემო ხალხს გვიხვრეტდნენ, ჩვენ კი ტაშს ვუკრავდით და ვიღიმებოდით. ჩვენივე ხელით ვშთანთქავდით მეგობრებს, ფოტოებიდან.

კოლაუ ნადირაძე (1895-1990)
ქართველი პოეტი

Mieroszewski Centre

IDFI Institute for Development of Freedom of Information

კონტაქტი
ანტონ ვაჭარაძე +99 557 734 0595
დაგმარა კლოსინსკა +48 602 780 647

MIEROSZEWSKI.PL
KONTAKT@MIEROSZEWSKI.PL
IG/FB/TT/YT @MIROSZEWSKIPL

IDFI.GE
INFO@IDFI.GE
IN/FB/IG/YT @IDFI

პირველი სამუშაო დღე
5 ოქტომბერი

9:30-10:00
რეგისტრაცია

10:00-10:15
მისასალმებელი სიტყვები
მარიუშ მაშკიევიჩი – პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში
გიორგი კლდიაშვილი – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საქართველო
ერნესტ ვიჩიშკევიჩი – მიეროშევსკის ცენტრი, პოლონეთი

10:15-10:35
ძირითადი ლექცია
როგორ ვისაუბროთ საბჭოთა რეპრესიებზე
იან რაჩინსკი - 2022 წელს ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი ორგანიზაციის, "საერთაშორისო მემორიალის" თავმჯდომარე

10:40-11:40
დისკუსია: *კომუნისტური დანაშაულების ისტორია საქართველოში*

მოდერატორი:
ლევან ავალიშვილი - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საქართველო

მონაწილეები:
ნანა ჯანელიძე - კინორეჟისორი, საქართველო
გიორგი მამულია - სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი კვლევების სკოლა, საფრანგეთი
ჰარისონ კინგი - კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის ისტორიის განყოფილება, აშშ

პანელი 1

12:00 - 14:00
ბათუმის მასობრივი სამარხები: არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური კვლევები

მოდერატორი:
ანტონ ვაჭარაძე – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საქართველო

მომხსენებლები:
2017-2022 წლებში აჭარაში დიდი ტერორის მასობრივ სამარხებზე ჩატარებული სამუშაოები
მამა ილია ხინიკაძე - ბათუმისა და ლაზეთის ეპარქია, საქართველო

ბათუმთან ახლოს, მე-6 საერთო სამარხში აღმოჩენილი დიდი ტერორის (1937-1938) მსხვერპლთა ნეშტების სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის შედეგები
ლუკაშ შლეშკოვსკი - ვროცლავის სამედიცინო უნივერსიტეტი, პოლონეთი
ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელვაჩაურის მე-3 სამხედრო ბაზიდან მე-6 სამარხის ექსჰუმაცია ანთროპოლოგიური თვალსაზრისით
ანჟელიკა სლოდკა - ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტი (IPN), პოლონეთი

არქეოლოგიური მოხსენება 2022 წლის 24 იანვრიდან 8 თებერვლამდე, საქართველოში, ბათუმში, ხელვაჩაურის მე-3 სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე ჩატარებული ექსჰუმაციისა და ძიების შესახებ
ტომაშ ბორკოვსკი - ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტი (IPN), პოლონეთი

პანელი 2

15:00-17:00
საბჭოთა ტერორის მსხვერპლები – დოკუმენტირების პრობლემები

მოდერატორი:
ლუკაშ ადამსკი - მიეროშევსკის ცენტრი, პოლონეთი

მომხსენებლები:
გვაწვდის თუ არა სტალინური დოკუმენტები სიმართლეს? რეპრესიების მსხვერპლთა სახელობითი დოკუმენტირების პრობლემები
სერგეი პრუდოვსკი - საერთაშორისო მემორიალი

საბჭოთა სახელმწიფო ტერორის მსხვერპლები მოლდოვაში: საარქივო და ზეპირი წყაროები, ინტერპრეტაციები და გამოწვევები
იგორ კაშუ - *არქივების ეროვნული სააგენტო, მოლდოვა*

„ვუწოლოთ სახელი, ჩათა ზუსტად დავთვალოთ..." პოლონეთში საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა სახელობითი დოკუმენტირება
მაცეი ვირვა - მიეროშევსკის ცენტრი, პოლონეთი

დიდ ტერორზე საარქივო წყაროები აჭარაში: მთლიანი სურათის რეკონსტრუქციის გამოწვევები
ანტონ ვაჭარაძე - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საქართველო

მეორე სამუშაო დღე
6 ოქტომბერი

პანელი 3

10:00-11:30
მუზეუმების როლი საბჭოთა პოლიტიკური რეპრესიების ხსოვნაში

მოდერატორი:
ირმა დიმიტრაძე - მედიასაშუალება "ბათუმელები", საქართველო

მომხსენებლები:
ციმბირის მეხსიერების მუზეუმი - ავთენტური ემოციების ადგილსამყოფელი
ვოიცეხ სლეჟინსკი - ციმბირის მეხსიერების მუზეუმი, პოლონეთი

მოლდოვაში დიდი ტერორის (1937-1938) ისტორიისა და ხსოვნის მუზეუმად გარდაქმნა ("მუზეიფიკაცია")
ლუდმილა დ. კოჟოკარუ - მოლდოვის ისტორიის ეროვნული მუზეუმი, მოლდოვა

1920-30-იანი წლების საბჭოთა ეპოქის ამსახველი გამოფენები ეროვნულ მუზეუმში
მიხეილ წერეთელი - საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და განვითარების ცენტრი, საქართველო

მუზეუმებში ისტორიული მეხსიერების შენარჩუნება, რეფლექსიისა და დიალოგის წახალისება ახალი პროცესების შექმნით
ნატაშა ლომოური - დავით სარაჯიშვილის მემორიალური მუზეუმისა და რეპრესირებულ საბჭოთა მწერალთა მუზეუმის კონცეფციის ავტორი, საქართველო

პანელი 4

12:00-14:00
როგორ წავახალისოთ ცოდნა და როგორ გავიგოთ მეტი საბჭოთა რეპრესიების შესახებ

მოდერატორი:
ნატაშა ლომოური - დავით სარაჯიშვილის მემორიალური მუზეუმისა და რეპრესირებულ საბჭოთა მწერალთა მუზეუმის კონცეფციის ავტორი, საქართველო

Gulag.cz: ახალი ტექნოლოგიები, როგორც საბჭოთა რეპრესიების შესახებ ცოდნის ამაღლების ინსტრუმენტი
შტეფან ჩერნოუშეკი - ასოციაცია Gulag.cz, საერთაშორისო მემორიალი, ჩეხეთი

როგორ და ვისთან ვისაუბროთ პოლიტიკურ რეპრესიებზე? მუზეუმის Perm-36-ის საგანმანათლებლო პრაქტიკა
იულია ბალაბანოვა - ვირტუალური მუზეუმი Perm-36, ყაზახეთი

KARTA-ს მეთოდი - სოციალური მოძრაობა საბჭოთა დანაშაულების დოკუმენტირებისთვის
იუსტინა ეივისი - ცენტრი KARTA, პოლონეთი

დეკომუნიზაცია, დეკოლონიზაცია, დეიმპერიალიზაცია და დეიდეოლოგიზაცია. 4D პოლიტიკა: ოკუპირებული ბელარუსის დეკომუნიზაცია, დეკოლონიზაცია, დეიმპერიალიზაცია და დეიდეოლოგიზაცია
ალინა კოუშიკი - ბელარუსის გაერთიანებული გარდამავალი კაბინეტი, პოლონეთი

მსხვერპლთა გახსენების გზით საბჭოთა რეპრესიების შესახებ ცოდნის პოპულარიზაცია. გერმანული პროექტ "უკანასკნელი მისამართის" მაგალითი
მელანი ჰუსინგერი - აღმოსავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთ ცენტრალური ევროპის ისტორიის კათედრა, ჰელმუტ შმიდტის უნივერსიტეტი, გერმანია

14:00-14:10
კონფერენციის შეჯამება

მონაწილეები

ლუკაშ ადამსკი
ისტორიის დოქტორი, პოლიტოლოგი. მის სპეციალიზაციას წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის ისტორია, პოლონურ-უკრაინული და პოლონურ-რუსული ურთიერთობები, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საგარეო და საშინაო პოლიტიკა. 2022 წლიდან არის იულიუშ მიეროშევსკის დიალოგის ცენტრის დირექტორის მოადგილე და "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ისტორიისა და პოლიტიკის ჟურნალის" მთავარი რედაქტორი. 2014 წელს იყო ეუთოს სპეციალური მონიტორინგის მისიის მომხსენებელი უკრაინაში. 2006-2011 წლებში საერთაშორისო ურთიერთობების პოლონურ ინსტიტუტში იკავებდა კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელის პოზიციას. არის ავტორი მონოგრაფიისა "პროგრესული ნაციონალისტი. მიხაილო ჰრუშევსკი და მისი ხედვა პოლონეთსა და პოლონელებზე". 2022 წელს გამოაქვეყნა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში პოლონელთა და საბჭოელთა ურთიერთობების წყაროების ორტომეული, ხოლო 2019 წელს გჟეგოჟ ჰრიციუკთან ერთად წყაროების ორი ტომი ვოლინიასა და აღმოსავლეთ გალისიაში პოლონელთა იატაკქვეშა ბრძოლაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ლევან ავალიშვილი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) პროგრამების დირექტორი და თანადამფუძნებელი. მას აქვს 13 წელზე მეტი ხნის გამოცდილება ორგანიზაციულ ხელმძღვანელობაში, პროგრამების მართვაში, დონორებთან ურთიერთობაში და სამთავრობო სტრუქტურებთან ადვოკატირებაში. ლევანი ასევე არის საბჭოთა კავშირის ისტორიის მკვლევარი და ამ თემაზე რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. იგი არის ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციისა და ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის წევრი, ამერიკის შესწავლის ინსტიტუტისა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის საბჭოს წევრი.

იუსტინა ეივისი
Ośrodek KARTA-ს (KARTA ცენტრი) რედაქტორი და წარმომადგენელი. დაამთავრა პოლონეთმცოდნეობა ვარშავის უნივერსიტეტში და მიიღო ევროპული მაგისტრის ხარისხი ბრიუსელის თავისუფალ უნივერსიტეტში. პოლონეთის ემიგრაციის ისტორია საფრანგეთსა და თურქეთში არის მისი სამეცნიერო-კვლევითი ინტერესის საკითხი.

იულია ბალაბანოვა
2015 წლიდან საზოგადოება მემორიალის თანამშრომელი. როგორც მოხალისემ, მონაწილეობა მიიღო პერმის რეგიონის გულაგებში გამართულ ექსპედიციებსა და პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლებთან დაკავშირებული პროექტების ორგანიზებაში. ასეთი პროექტებია "უკანასკნელი მისამართი", "სახელების დაბრუნება", "ხმის ზონა" და ა.შ. იულიას სამოქალაქო თემებზე შექმნილი თავისი სიმღერებისა და ლექსების საავტორო პროგრამა ისეთ ღონისძიებებზე შეუსრულებია, როგორებიცაა საერთაშორისო ფორუმი პილორამა და Perm Civil Seasons. 2022 წლის დასაწყისიდან, იულია აქტიურად მონაწილეობს "პერმ-36"-ის ვირტუალური მუზეუმის სახით გაცოცხლების პროექტში.

ტომაშ ბორკოვსკი
არქეოლოგიის დოქტორი. მის სპეციალიზაციას შუა საუკუნეებისა და თანამედროვე არქეოლოგიის გარდა სასამართლო არქეოლოგიაც წარმოადგენს. 2016 წლიდან მუშაობს ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტში (IPN), სადაც არაერთ ექსპედიციას უხელმძღვანელა. გარდა ამისა, კითხულობს ლექციებს სასამართლო არქეოლოგიაში ვროცლავის უნივერსიტეტში. იყო ბათუმის 2022 წლის არქეოლოგიური გათხრების ჯგუფის ხელმძღვანელი.

იგორ კაშუ
მოლდოვის არქივების ეროვნული სააგენტოს დირექტორი და მოლდოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი. 2016 წელს ის იყო ფულბრაიტის მკვლევარი სტენფორდის უნივერსიტეტში და კითხულობდა ლექციებს ომისშემდგომი შიმშილობის შესახებ ტორონტოს, იელის, ჰარვარდისა და სტენფორდის უნივერსიტეტებში. გამოქვეყნებული აქვს სტატია "შედარების უპირატესობები: ადრეული 1930-იანი წლების შიმშილობა ყაზახეთში საბჭოთა კონტექსტში". ამჟამად მუშაობს წიგნზე, რომელიც შეეხება ომისშემდგომ შიმშილობას საბჭოთა მოლდოვაში 1946-1947 წლებში.

შტეფან ჩერნოუშეკი

ასოციაცია Gulag.cz-ის თავმჯდომარე. ასოციაცია საბჭოთა რეპრესიების კვლევის პოპულარიზაციითაა დაკავებული. მისი ორგანიზებით ციმბირსა და ყაზახეთში 5 სხვადასხვა მიტოვებულ გულაგში ჩატარდა ექსპედიცია. გარდა ამისა, ის დაინტერესებულია სსრკ-ში ჩეხთა რეპრესიების კვლევითაც. დიდი ხნის განმავლობაში თანამშრომლობდა მემორიალთან და მისი ინიციატივით ასოციაციის ჩეხური ანალოგიც შეიქმნა. არის საერთაშორისო მემორიალის საბჭოს წევრი. დაამთავრა ჩარლზის უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი პრაღაში, ტერიტორიული კვლევების მიმართულებით.

ლუდმილა დ. კოჟოკარუ

ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (2005), დეპორტაციისა და პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა მუზეუმისა და მოლდოვის ისტორიის ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელი. მისი ინტერესის სფეროებს წარმოადგენს მეხსიერების კულტურა, პოსტ-საბჭოთა მუზეუმები და დეპორტაციების ეთნოგრაფია. გამოცემული აქვს წიგნები: “მეხსიერების სავარჯიშო”, “მეხსიერების არქივები”, “რუმინელები გულაგში”. ლუდმილა კოჟოკარუ არის მიწვეული რედაქტორი ისტორიასა და ანთროპოლოგიაში, თემატური გამოცემისთვის “პოლიტიკა და საქმიანობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში”. ასევე, არის მოლდოვაში საბჭოთა დეპორტაციებისა და პოლიტიკური რეპრესიების 5 ფოტო-დოკუმენტური გამოფენის კურატორი (1940-1941, 1944-1953).

ირმა დიმიტრაძე

დამოუკიდებელი მედიასაშუალების Batumelebi.ge-ს ჟურნალისტი და მფლობელი კომპანიის, “გაზეთი ბათუმელების” საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. მისი ინტერესის სფერო უკავშირდება მონაცემებსა და საგამოძიებო ჟურნალისტიკას. მას აქვს ბაკალავრის ხარისხი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინანსებსა და საბანკო საქმეში. ამჟამად, სწავლობს ამავე უნივერსიტეტში სამაგისტრო საფეხურზე განათლების ადმინისტრირებას. Batumelebi.ge აქტიურად არის ჩართული ბათუმში დიდი ტერორის მასობრივ სამარხებთან დაკავშირებული თემების გაშუქებაში.

მელანი ჰუსინგერი

2021 წლის აპრილიდან ჰამბურგის ჰელმუტ შმიდტის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთ ცენტრალური ევროპის ისტორიის კათედრის ასისტენტი. 2017 წლიდან 2020 წლამდე სწავლობდა აღმოსავლეთ ევროპის კვლევებს რეგენსბურგში, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ისტორიისა და სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2018-2021 წლებში მუშაობდა სტუდენტ-ასისტენტად ლაიბნიცის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ინსტიტუტში რეგენსბურგში, მათ შორის Jahrbücher für Geschichte Osteuropas-ში. 2013-2017 წლებში დაასრულა საბაკალავრო პროგრამა ევროპული კვლევების მიმართულებით, პასაუს უნივერსიტეტში. სწავლის პერიოდში მან რამდენიმე სემესტრი გაატარა საზღვარგარეთ, მათ შორის ერთი სემესტრი ივანოვოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, რუსეთში (2016) და გერმანიის ისტორიულ ინსტიტუტში, მოსკოვში (2019). მისი კვლევა ფოკუსირებულია მეხსიერების კულტურასა და პოლიტიკაზე აღმოსავლეთ ევროპაში, სამოქალაქო საზოგადოების მოძრაობებზე “პერესტროიკის” დროს, ხსოვნის პრაქტიკებზე პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებში, სტალინიზმსა და მის ხელახალ შეფასებაზე.

ნანა ჯანელიძე

ქართველი რეჟისორი და სცენარისტი. ის სცენარისტად და მუსიკალურ დიზაინერად მუშაობდა თენგიზ არჩვაძესთან ერთად, 1984 წელს გამოსულ ფილმზე "მონანიება". ფილმმა 1987 წლის კანის კინოფესტივალის მთავარი პრიზი მოიგო, ასევე, წარდგენილი იყო ოქროს გლობუსზე საუკეთესო უცხოურენოვანი ფილმის ნომინაციაში და კინოფესტივალ “ნიკას” მთავარი პრიზი 6 სხვადასხვა კატეგორიაში მოიპოვა, მათ შორის საუკეთესო სცენარისთვის. სტალინიზმის ნახევრად ალეგორიული კრიტიკის გამო 1984 წელს გამოსული ფილმის პრემიერა მხოლოდ 1987 წელს მოხერხდა.

ჰარისონ კინგი

კალიფორნიის უნივერსიტეტის (Berkeley) დოქტორობის კანდიდატი, რომლის საკვლევ მიმართულებასაც ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებისა და მათი მემკვიდრე სახელმწიფოების ისტორია წარმოადგენს. მისი სადისერტაციო პროექტი ქართულ, რუსულ და თურქულენოვან წყაროებზე დაყრდნობით პირველი მსოფლიო ომის დასრულებიდან ცივ ომამდე საქართველო-თურქეთის საზღვრის პოლიტიკურ და კულტურულ ისტორიას

→

ეხება. ჰარისონი ფლობს მაიამის უნივერსიტეტის (ოჰაიო) ბაკალავრის ორმაგ ხარისხს საერთაშორისო კვლევებსა და რუსეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის კვლევებში, ასევე ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს შედარებით ისტორიაში.

მამა ილია ხინიკაძე

დაამთავრა წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარია და ამჟამად ბათუმის წმ. გაბრიელ აღმსარებლის და სალოსის სახელობის ტაძარში მსახურობს. ამასთანავე, ის არის ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის პრესსპიკერი.

გიორგი კლდიაშვილი

IDFI-ის თანადამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი. მას აქვს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ღია მმართველობის და ანტი-კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე მუშაობის 10 წელზე მეტი ხნის გამოცდილება. გიორგის განხორციელებული აქვს პროექტები, კვლევები და ტრენინგები სხვადასხვა საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისთვის და სახელმწიფო დაწესებულებისთვის. IDFI-ისთან დაკავშირებული საქმიანობის გარდა გიორგი კლდიაშვილს, როგორც სპეციალობით ისტორიკოსს, აქვს გამოცდილება აკადემიურ საქმიანობაში, კერძოდ, ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ისტორიის შესახებ კვლევებში. ის არის პროფესიონალი არქივის მკვლევარი და აქვს საქართველოსა და უცხოეთის არქივებში მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება. გიორგი კლდიაშვილს აქვს დამთავრებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის დოქტორანტურა და მუშაობდა პროფესორად და ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტში.

ალინა კოუშიკი

ბელარუსის გაერთიანებული გარდამავალი კაბინეტის წარმომადგენელი ეროვნული აღორძინების საკითხებში. მას აქვს ხარისხი ისტორიაში და განხორციელებული აქვს მრავალი სოციალური პროექტი. ბოლო 15 წლის განმავლობაში ის მუშაობდა ტელეკომპანია Belsat-ში, როგორც ჟურნალისტი, ტელეწამყვანი და პროდიუსერი. იყო რამდენიმე სატელევიზიო პროექტისა და დოკუმენტური ფილმის დამფუძნებელი. გარდა ამისა, ალინამ დააარსა ბელარუსის სოლიდარობის ცენტრი ვარშავაში და InBelKult 2.0, ასევე ბელარუსი ქალების კლუბი ვარშავაში. მან შექმნა ბელარუსის ბიზნეს რუკა www.bymapka.me. ალინას მიაჩნია, რომ ყველას აქვს ისტორია და ეროვნული აღორძინება ბელარუსის გამარჯვების გასაღებია.

ნატაშა ლომოური

საქართველოსა და აშშ-ში სწავლის შემდეგ, უმაღლესი განათლების მიღება საერთაშორისო სამართლის მიმართულებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო, მოგვიანებით კი ბოლონიის უნივერსიტეტში, პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე გააგრძელა. დოქტორის ხარისხი მიიღო 2004 წელს, მას შემდეგ რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია სახელწოდებით "პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი და სამშვიდობო პროცესი XX საუკუნის ბოლოს". 2011-2023 წლებში იყო მწერალთა სახლის დირექტორი. ის არის დავით სარაჯიშვილის მემორიალური მუზეუმისა და რეპრესირებული საბჭოთა ქართველი მწერლების მუზეუმის კონცეფციის ავტორი და კურატორი.

გიორგი მამულია

კავკასიის თანამედროვე ისტორიის დამოუკიდებელი მკვლევარი. მან დოქტორის ხარისხი 2008 წელს პარიზში, სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი კვლევების სკოლაში მიიღო. მის ნაშრომთა შორისაა "ევრაზიული სამკუთხედი. რუსეთი, კავკასია და იაპონია 1904-1945 წწ" (2016) (ჰ. კურომიასთან თანაავტორობით) და "კავკასიელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის სსრკ-სა და დასავლურ ძალებს შორის: საქართველოს შემთხვევა, 1921-1945" (2009).

მარიუშ მაშკიევიჩი

პოლონელი დიპლომატი. ის იყო პოლონეთის ელჩი ბელარუსში (1998–2002), ამჟამად კი საქართველოში (2016 წლის ნოემბრიდან). ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, დიპლომატი, პუბლიცისტი, სოციოლოგი და ეკონომისტი. ის არის მრავალი სტატიის ავტორი, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა სოციოლოგიურ საკითხს, ასევე რელიგიების, ანთროპოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევებს. დაამთავრა იაგელონიის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ისტორიის ფაკულტეტი, სადაც 1993 წელს მიიღო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. სწავლობდა თეოლოგიას, ფილოსოფიას პოზნანში (1979–1980) და მოწვეულ სტუდენტად გეორგ ავგუსტის უნივერსიტეტში, გეტინგენში (გერმანია) 1986 წელს. 2017 წელს მიენიჭა

→

დოქტორის ხარისხი. 1981 წლიდან 1989 წლამდე კითხულობდა სხვადასხვა მეცნიერებას კრაკოვის იაგელონიის უნივერსიტეტში. იქ ყოფნისას ის ჩაერთო მიწისქვეშა თავისუფლების მოძრაობაში და ხელმძღვანელობდა Wolność i Pokój (თავისუფლება და მშვიდობა) ორგანიზაციას 1986-1990 წლებში. გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი წიგნი (მონოგრაფია და კოლექტიური ნაშრომები). ასევე ათობით სტატია და კვლევა საერთაშორისო ურთიერთობების, ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის, ისტორიისა და კულტურის შესახებ.

სერგეი პრუდოვსკი

"მემორიალის" წევრი. 2009 წლიდან იკვლევს შინსახკომის ეროვნულ ოპერაციებს. ის არის ავტორი წიგნებისა "Спасская Красавица", "აგრონომი კუზნეცოვის 14 წელი გულაგში" და "იყო ასეთი "ერი" - ხარბინელები: შინსახკომის ხარბინის ოპერაცია დოკუმენტებში". დამატებით, ის სერგეი კრივენკოსთან ერთად არის თანაავტორი სტატიისა "1937-1938 წლების შინსახკომის ეროვნული ოპერაციების სტატისტიკა". ამჟამად ის მუშაობს წიგნზე "დანაშაულის ანატომია: შინსახკომის პოლონური ოპერაცია".

იან რაჩინსკი

რუსი პროგრამისტი, მათემატიკოსი და ადამიანის უფლებათა აქტივისტი. ადამიანის უფლებათა აქტივიზმით 1980-იანი წლებიდანაა დაკავებული, მას შემდეგ, რაც "მემორიალის" საქმიანობაში ჩაერთო - ორგანიზაციის, რომელიც სტალინის რეჟიმის დანაშაულებს იკვლევს. როცა 2018 წელს "მემორიალის" თავმჯდომარე არსენი როგინსკი გარდაიცვალა, საბჭომ მის შემცვლელად რაჩინსკი აირჩია. "მემორიალი" 2022 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიით დაჯილდოვდა, პრიზი კი ორგანიზაციის სახელით რაჩინსკის გადაეცა.

ანჟელიკა სლოდკა

მეცნიერებათა მაგისტრი ბიოლოგიურ ანთროპოლოგიაში. ოთხ წელზე მეტია ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტში (IPN) მუშაობს. ის აქტიურად მონაწილეობს IPN-ის არქეოლოგების მიერ ჩატარებულ გათხრებში. როგორც ანთროპოლოგი, ანჟელიკა ექსჰუმაციისა და იდენტიფიკაციის პროცესებში მონაწილეობს. იყო 2022 წლის ბათუმის არქეოლოგიური გათხრების გუნდის წევრი.

ლუკაშ შლეშკოვსკი

სასამართლო მედიცინის ექსპერტი და მედიცინის დოქტორი. ამჟამად ასწავლის ვროცლავის სამედიცინო უნივერსიტეტში. მისი აკადემიური ინტერესის სფეროს ტოტალიტარული რეჟიმების მსხვერპლთა ნეშტების შესწავლა წარმოადგენს. დოქტორი შლეშკოვსკი აქტიურად მონაწილეობს ექსჰუმაციებში პოლონეთსა და საზღვარგარეთ, მათ შრის ბელარუსში, საქართველოსა და შვეიცარიაში. არის სასამართლო მედიცინის შესახებ არაერთი სამეცნიერო სტატიის ავტორი. კარიერულმა მიღწევებმა მას სახელმწიფო პრემია და სხვა არაერთი ჯილდო მოუტანა.

ვოიცეხ სლეჟინსკი

ისტორიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. არის ციმბირის მემორიალური მუზეუმის დირექტორი 2017 წლიდან. წლების განმავლობაში მუშაობს ლექტორი ბიალისტოკის უნივერსიტეტში. 2012-2016 წლებში იყო ბიალისტოკის უნივერსიტეტის ისტორიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 2016-2020 წლებში ბიალისტოკის უნივერსიტეტის პრორექტორი განათლების მიმართულებით. ასევე ბიალისტოკის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობისა და საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელი. ის 200-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია.

მიხეილ წერეთელი

მცირე ხნის წინ დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაციის, საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და განვითარების ცენტრის დირექტორი. ის რეგულარულად აორგანიზებს ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო ფორუმებს მუზეოლოგიის, მუზეუმის მენეჯმენტისა და სამუზეუმო განათლების შესახებ. მისი აკადემიური წარსული არქეოლოგიასა და მუზეოლოგიას უკავშირდება. 2005-2022 წლებში იკავებდა გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობას საქართველოს ეროვნულ მუზეუმში - ინსტიტუტში, რომელიც 12 მუზეუმსა და 5 კვლევით ცენტრს აერთიანებს. 2005 წლიდან ის მუშაობდა StudioMilous-სა და UNESCO-ს ექსპერტებთან ერთად პოსტ-საბჭოთა მუზეუმების ტრანსფორმაციის სტრატეგიაზე. მიხეილ წერეთელი მუზეუმთა საერთაშორისო საბჭოსა (ICOM) და მუზეუმების მენეჯმენტის საერთაშორისო კომიტეტის (INTERCOM) წევრი და ICOM საქართველოს ერთ-ერთი დამაარსებელია.

ანტონ ვაჭარაძე IDFI-ის მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი. ის IDFI-ის გუნდს 2017 წლიდან შეუერთდა. ანტონ ვაჭარაძე განათლებით ისტორიკოსია, მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის და მაგისტრის სამეცნიერო ხარისხები. ის 2009 წლიდან მუშაობდა საქართველოს ეროვნულ არქივში. 2012-2017 წლებში ეკავა საისტორიო ცენტრალური არქივის დირექტორის თანამდებობა. ამ პერიოდში ის მონაწილეობდა არქივის და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროექტებში: მათ შორის არაერთი პროექტი ეხებოდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიისა და წყაროების შესწავლას, აგრეთვე ამ პერიოდის პოპულარიზაციას სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს შორის. მისი მონაწილეობით განხორციელებული პროექტებიდან სამი მოიცავდა აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტების შესწავლას და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ანტონ ვაჭარაძე არის რამდენიმე სტატიის ავტორი მეხსიერების და ისტორიის მიმართულებით. მისი რედაქტორობით გამოიცა არაერთი სამეცნიერო-პოპულარული წიგნი. 2022 წელს მან ბათუმში დიდი ტერორის N6 მასობრივი სამარხის არქეოლოგიურ კვლევაში მიიღო მონაწილეობა.

ერნესტ ვიჩიშკევიჩი პოლიტიკური მეცნიერების დოქტორი. 2016 წლიდან არის პოლონურ-რუსული დიალოგისა და ურთიერთგაგების ცენტრის (ამჟამად მიეროშევსკის ცენტრი) დირექტორი. არის პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის (PISM) საერთაშორისო ეკონომიკისა და ენერგოუსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელი და უფროსი მკვლევარი. დაამთავრა ლოძის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, ასევე, ორმაგი სადიპლომო პროგრამა თანამედროვე მთარგმნელობით კვლევებში სტრასბურგის მარკ ბლოკისა და ლოძის უნივერსიტეტში. 2003-2008 წლამდე იყო რუსულენოვანი გამოცემა "ევროპის" სარედაქციო საბჭოს მდივანი. არის რუსეთის ენერგეტიკული პოლიტიკის, ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობების, რუსეთის საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო კლიმატური მოლაპარაკებების შესახებ დაწერილი არაერთი ანალიტიკური კვლევის ავტორი. მისი თანაავტორობითა და რედაქციით გამოიცა წიგნები: "Geopolityka rurociągów. Współzależność energetyczna a relacje międzypaństwowe na obszarze postsowieckim" და "ენერგოუსაფრთხოება და კლიმატის ცვლილებები: ორმაგი გამოწვევა პოლიტიკოსებისათვის". ამჟამად მუშაობს "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ისტორიისა და პოლიტიკის ჟურნალისა (AREI)" და "Polski Przegląd Dyplomatyczny-ის" სარედაქციო საბჭოებში.

→

მაცეი ვირვა ისტორიის დოქტორი, მიეროშევსკის ცენტრის კვლევების კოორდინატორი. მის სპეციალიზაციას პოლონელთა წინააღმდეგ საბჭოთა რეპრესიებისა და ისტორიული მეხსიერების კვლევა წარმოადგენს. არის "1934-1938 წლებში საბჭოთა კავშირში ანტი-პოლონური ტერორის მსხვერპლთა" მონაცემთა ბაზის ინიციატორი და თანაავტორი. ასევე, არის კატინის ხოცვა-ჟლეტასა და შინსახკომის პოლონური ოპერაციის შესახებ შექმნილი საგანმანათლებლო პორტალების ავტორი. გამოცემული აქვს პუბლიკაცია "კატინის აღმოუჩენელი მსხვერპლი? 1939 წლის 17 სექტემბრიდან 1940 წლის ივნისამდე პოლონეთის მეორე რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციაში დაკარგული ადამიანების სია".

Mieroszewski Centre

IDFI Institute for Development of Freedom of Information

კონტაქტი
ანტონ ვაჭარაძე +99 557 734 0595
დაგმარა კლოსინსკა +48 602 780 647

MIEROSZEWSKI.PL
KONTAKT@MIEROSZEWSKI.PL
IG/FB/TT/YT @MIROSZEWSKIPL

IDFI.GE
INFO@IDFI.GE
IN/FB/IG/YT @IDFI